



საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 13
01/06/2016

13-06-4-201606011812



დადგენილება №13

2016 წლის 1 ივნისი
ქ. ოზურგეთი

**„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №43
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №43 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 01.01.2016 წ. სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.113.016250) და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

გაიზარდოს სულ შემოსავლების და გადასახდელების ნაწილში **1107 771,23 ლარით:**

გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში ტრანსფერები (კაპ. ტრანსფერი) **1 170 036 ლარით**

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 16 მაისის №823 განკარგულებით „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო **1 170 036 ლარი**. მათ შორის:

პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად - **1 170 036 ლარი;**

გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში გრანტები **30913,23 ლარით**

ევროკავშირის პროექტის „მონაწილეობით CHARRETTE გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისათვის“ ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო **30 913,23** ლარი. მათ შორის:

პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად - **30913,23** ლარი;

შემცირდეს შემოსავლების ნაწილში ტრანსფერები (კაპ. ტრანსფერი) **93 178** ლარით

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 მაისის №803 განკარგულებით შევიდეს ცვლილება „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის №175 განკარგულებაში. შემცირდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი ტრანსფერი **93 178** ლარით. მათ შორის:

- პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად გამოყოფილი თანხა - **93 178** ლარი;

შესაბამისად შემცირდეს საბიუჯეტო კლასიფიკაციაში: ა) ინფრასტრუქტურის სამუშაოები არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, არასაცხოვრებელი შენობები (ორგანიზაციული კოდი **03 02 04 - 61.1.1.2.**) – **93 178** ლარით;

ასევე შემცირდეს:

ბ) მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება, სოციალური დახმარება ფულადი ფორმით (ორგანიზაციული კოდი **06 02 05 - 2.7.2.1.**) – **20000** ლარით;

გ) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი (ორგანიზაციული კოდი **05 05 05 - 2.2.10.14.**) – **320** ლარით;

დ) ინფრასტრუქტურის სამუშაოები არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, სხვა შენობა-ნაგებობები (ორგანიზაციული კოდი **03 02 04 -61.1.1.11.**) – **62 310** ლარით;

ე) კეთილმოწყობის ღონისძიებები არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, არასაცხოვრებელი შენობები (ორგანიზაციული კოდი **03 05 - 61.1.1.2.**) – **11 208** ლარით;

ვ) სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, სხვა შენობა ნაგებობები (ორგანიზაციული კოდი **03 07 - 61.1.1.11**) – **24 178** ლარით;

შესაბამისად გაიზარდოს:

ზ) ინფრასტრუქტურის სამუშაოები არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, გზები (ორგანიზაციული კოდი 03 02 04 -61.1.1.5.) – 996 943 ლარით;

თ) ინფრასტრუქტურის სამუშაოები არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, სხვა შენობა - ნაგებობები (ორგანიზაციული კოდი 03 02 04 -61.1.1.11.) – 173 093 ლარით;

ი) ტურიზმის ხელშეწყობის პროგრამა, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო, საგამოფენო ღონისძიებების და მაუწყებლობის ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 05 02 06 -2.2.10.12.) – 30 913,23 ლარით;

კ) მოქალაქეთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა, სოციალური დახმარება ფულადი ფორმით (ორგანიზაციული კოდი 06 02 06 – 2.7.2.1.) – 20000 ლარით;

ლ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საწარმო შ.პ.ს. „მუნიციპალური ტრანსპორტი“-ს დაფინანსება, სუბსიდიების ნაწილში (ორგანიზაციული კოდი 03 01 02 – 2.5) – 320 ლარით;

მ) გზების რეაბილიტაცია სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის ნაწილში (ორგანიზაციული კოდი 03 01 01 – 2.2.10.14.) – 97 696 ლარით;

ასევე მოხდეს სოციალურ პროგრამებიც გაცემის წესებში ცვლილებები, კერძოდ:

ნ) სოციალური ღონისძიებების პროგრამის (პროგრამული კოდი 06 02 14) მე-7 პუნქტით გათვალისწინებულია 1 ოქტომბერს ხანდაზმულთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით 100 და მეტი წლის ხანდაზმული პირების მატერიალური დახმარება თითოეულ ბენეფიციარზე 300 ლარის ოდენობით.

მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

100 წელს მიღწეული მოქალაქეებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება თითოეულ ბენეფიციარზე 300 ლარის ოდენობით.

ო) მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 01):

მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამა ითვალისწინებს მრავალშვილიანი ოჯახების ხელშეწყობის მიზნით „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 150 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახებისათვის (4 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი), რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე,

ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევას თითოეულ ბავშვზე 15 ლარის ოდენობით.

ეს ქვეპროგრამა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:


მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამა ითვალისწინებს მრავალშვილიანი ოჯახების ხელშეწყობის მიზნით „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 0-დან და 57 001-მდე სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახებისათვის (4 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი), რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევას თითოეულ ბავშვზე 15 ლარის ოდენობით, ხოლო „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 57 001-დან და 150 001-მდე სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახებისათვის (4 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი), რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევას თითოეულ ბავშვზე 25 ლარის ოდენობით.

სულ გაიზარდოს 1 107 771,23 ლარით

2. დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დიმიტრი კვერდელიძე



თავმჯდომარის მოადგილე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო